შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№ 34-35 (10.090)

23—30 სექტემბერი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

შესრულებული წინასაარჩევნო დაპირება და რეალობა

სოციალური ქსელი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ის ახალი ამბების მაცნეცაა და ზოგჯერ წარსულსაც გვახსენებს. ამ დღეებში "ფეისბუქმა" სწორედ ორი წლის წინანდელი „მემორი" განმიახლა და მუნიციპალიტეტის მეროების კანდიდატის, ამჟამად მოქმედი მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის დაპირებები კიდევ ერთხელ შემახსენა. რას პირდებოდა ის წინასაარჩევნოდ მოსახლეობას?

*დედოფლისწყაროს ექნება 24 საათიანი წყალმომარაგება;

*განახლდება დედოფლისწყაროს ცენტრი;

*აღდგება შინმოუსვლელთა პარკი;

*მოეწყობა ხორნაბუჯის (თამარის) ციხესთან მისასვლელი გზა;

*მოწესრიგდება ყველა კორპუსის ეზო;

*აშენდება 12 ახალი სტადიონი;

*მოეწყობა არწივის ხეობასთან მისასვლელი გზა;

გაზეთმა „შირაქმა" გადახედა ამ დაპირებათა ნუსხას და აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა შესრულებულია. ისე არ გაგვიგოთ, რომ მუნიციპალიტეტში ყველა პრობლემა მოგვარდა და ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია, ხელები გულზე დაიკრიფოს და თვითტკბობას მიეცეს. ასე ნამდვილად არავინ ფიქრობს, მაგრამ ძირითადი დაპირებები რომ შესრულებულია, ამაზეც ვერავინ იდავებს.

დედოფლისწყაროს მერის ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, ის ამაყია, რომ მისი წინასაარჩევნო დაპირება ლიტონი სიტყვები არ აღმოჩნდა და სიტყვა საქმედ იქცა.

„დიახ, ამაყი ვარ, რომ წინასაარჩევნო დაპირებების დიდი ნაწილი შესრულებულია. მათ შორის ყველაზე დიდი მიღწევა-24 საათიანი წყალმომარაგების პროექტია. დედოფლისწყაროს ცენტრი განახლებულია, აქტიურად მიმდინარეობს შინმოუსვლელთა პარკის სრული რეაბილიტაცია, რომელიც თავისი ატრაქციებით ახალ შესაძლებლობებს მისცემს ტურიზმისა და სამრეწველო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს; თამარის ციხის გზის რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება. აქ უკვე მოეწყო საპიკნიკე სივრცეები, რომელსაც ვიზიტორები აქტიურად იყენებენ; აქტიურ ფაზაშია ქალაქ დედოფლისწყაროში არსებული კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები; ახალგაზრდობის ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით აშენდა 7 ახალი სტადიონი და სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 მინი სტადიონს; მოეწყო არწივის ხეობასთან მისასვლელი ახალი გზა და განახლდა შიდა ინფრასტრუქტურა".

დედოფლისწყაროში ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურად მიმდინარეობს. მოსახლეობას ხან მტვერი ანუხებს, ხან წყლის სუნი და გემო არ მოსწონს, მაგრამ განახლებული მშობლიური რაიონი ყველას ახარებს. 24-საათიანი წყალმომარაგება რომ უტოპია ეგონათ, რეალობად იქცა. თუმცა, მოსახლეობა ამჯერად საკანალიზაციო სისტემის აუცილებლობაზე ალაპარაკდა.

დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლების მიზანია, მუნიციპალიტეტი სუფთა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სივრცედ აქციოს, მაგრამ ამაში თითო აგური ყველამ უნდა დადოს და საკუთარი წვლილი შეიტანოს. ეს ქვეყანა ჩვენია, ყველასია და პასუხისმგებლობაც ყველამ უნდა აიღოს. რეაბილიტირებული სკვერებისა თუ პარკების მოვლა უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის თვითმიზანი და არა გაკეთებულის დანგრევა. ვანდალიზმის უფლებას ჩვენი ისტორიული წარსული და ტრადიციები არ გვაძლევს!

ინგა ჭიოლაშვილი

დედოფლისწყაროს საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიაზე მუშაობა დაიწყო

22 სექტემბერს, დედოფლისწყაროს ადმინისტრაციული შენობის საკონფერენციო დარბაზში მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის მოსამზადებლად სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად განათლების, კულტურის, აგრარული სფეროს, ბიზნესის, მასმედიისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სამუშაო ჯგუფს სტრატეგიის შემუშავებაში და სწორი მიმართულების მიცემაში ექსპერტი ლიზა სოფრომაძე დაეხმარება. პირველი შეხვედრისას ჯგუფის წევრებმა მოახდინეს მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი, რომლის საფუძველზეც დედოფლისწყაროს განვითარების სტრატეგია შემუშავდება.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „ეს დოკუმენტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს იქნება ჩვენი პატარა კონსტიტუცია, რომლის ფარგლებშიც ვიმოქმედებთ და რომელიც შემდგომი 4 წლის მანძილზე განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარებას, მის პრიორიტეტებსა და ძირითად მიმართულებას“.

ლიზა სოფრომაძე: „ დოკუმენტი სხვადასხვა მუნიციპალური სტრუქტურული ერთეულის აქტიურ ჩართულობას მოითხოვს. სტრატეგიული დოკუმენტი უამრავი პატარა დეტალისგან შედგება, რასაც ტოტალური შრომა სჭირდება როგორც შემუშავების, ისე რეალიზების პროცესში“.

ქვეყნის, ისევე როგორც მუნიციპალიტეტის, შემდგომი წინსვლა, უკეთესი ხვალინდელი დღის შენება მომავლის სწორ და მკაფიო ხედვას, და, ამავე დროს, წლების განმავლობაში ერთობლივი ძალისხმევით უკვე მიღწეულს უნდა დაეფუძნოს. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ის ახალი შესაძლებლობებიც, რომლებსაც, მწვავე კრიზისებთან ერთად, თანამედროვე საერთაშორისო ვითარება გვთავაზობს. ამ მიზნების მისაღწევად, საქართველოს მუნიციპალიტეტებში უნდა შემუშავდეს განვითარების სტრატეგია, რომელიც, დაგროვილი გამოცდილებისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აყალიბებს მომავლის ხედვას, განსაზღვრავს განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებს, ძირითად პრინციპებსა და მიზნების მიღწევის კონკრეტულ გზებს. ყველა მიმართულებით მნიშვნელოვანმა პროგრესმა, ინკლუზიურმა დღის წესრიგმა უნდა უზრუნველყოს ახალი შესაძლებლობები, მშვიდობა და უსაფრთხოება, მეტი კეთილდღეობა და ცხოვრების მაღალი სტანდარტი თითოეული მოქალაქისათვის.

ამ როლის შესრულება, უპირველესად, გულისხმობს მუნიციპალიტეტის პოლიტიკის განსაზღვრას და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებას. ეს დოკუმენტი მოიცავს ადგილობრივი ეკონომიკისა და მისი განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებათა თანმიმდევრულ, გრძელვადიან გეგმას, მუნიციპალიტეტის ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით. მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგიის არსებობა აუცილებელია, რადგან ადგილობრივი ეკონომიკური თუ სოციალური განვითარება უწყვეტი და კომპლექსური პროცესია, რომელიც უკავშირდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს და უშუალო გავლენას ახდენს მასზე. ასეთი კომპლექსური ხასიათის გამო, აღნიშნული სტრატეგია უნდა შეესაბამებოდეს მუნიციპალიტეტის საქმიანობის განმსაზღვრელ სხვა პრიორიტეტებს, რომლებიც ინტეგრირდება მუნიციპალიტეტის განვითარების ერთიან სტრატეგიაში.

ინგა შიოლაშვილი

კუთვნილი თანხა-მრავალშვილიან ოჯახს

2023 წლის დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის, ილია ბეგიაშვილის კუთვნილი ფულადი ჯილდო მისივე სურვილით გადაეცა სოფელ გამარჯვებაში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ 7 შვილის დედას ხათუნა ფიცხელაურს. სიმბოლური ვაუჩერი ფიცხელაურს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა პირადად გადასცა.

ქართულ-ესტონური პროექტი დასრულდა

სასტუმრო „ავტოგრაფში“ ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციისა და დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის ერთობლივი პროექტის, „ტურისტული პროდუქციის ხარისხის განვითარება დედოფლისწყაროში“ დახურვის ღონისძიება გაიმართა.

ორწლიანი პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა ტურისტულ ბიზნესში არსებული სიტუაცია და სხვადასხვა კატეგორიის ობიექტებზე შემუშავდა ტურისტული პროდუქტის ხარისხის კრიტერიუმები.

„ტურისტული პროდუქციის ხარისხის განვითარება დედოფლისწყაროში“ ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დააფინანსა .

ღონისძიებას, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გელა სამუკაშვილი დაესწრო, რომელმაც პროექტის ავტორებს და ღონისძიების ორგანიზატორებს მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის და დედოფლისწყაროს თვითმმართველობის სახელით მადლობა გადაუხადა და სამომავლო თანამშრომლობისთვის მზაობა გამოთქვა. გაზეთი „შირაქი“ ვრცელ მასალას შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

მორიგი მსოფლიო ჩემპიონი დედოფლისწყაროდან

2023 წლის 22 სექტემბერს, მექსიკის შტატ ვერაკრუსში პარატაეკვონდოს მეათე ჩემპიონატი გაიმართა, სადაც კვლავ წარმატებით იასპარეზა დედოფლისწყაროელმა, არბოშიკელმა პარასპორტსმენმა გიორგი ხიზანიშვილმა.

ნახევარ ფინალში გიორგიმ კორეელი მოწინააღმდეგე დიდი უპირატესობით დაამარცხა და ფინალში გადავიდა. მსოფლიო საზოგადოებამ კი მორიგი ქართული ფინალი იხილა. ერთმანეთს გიორგი ხიზანიშვილი და გოგა ხახალაშვილი დაუპისპირდნენ.

შედეგად, არბოშიკელმა გიორგი ხიზანიშვილმა პირველი ადგილი დაიკავა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. „თქვენთან თენდება საქართველოში და ჩვენთან, მექსიკაში, ჯერ ისევ ღამეა. მინდა, ასე სიხარულით გათენდეს ყოველთვის ჩვენს ქვეყანაში! 2023 წლის 22 სექტემბერს მექსიკის შტატ, ვერაკრუსში გამართულ, პარატაეკვონდოს მეათე მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი ადგილი ავიღე. როგორც ყოველთვის ახლაც პირველი გრძნობა მადლიერება მაქვს!“ - აღნიშნა მან სოციალურ ქსელში.

გაზეთი „შირაქი“ ულოცავს გიორგის მორიგ წარმატებასა და მსოფლიო აღიარებას.

მადლობა ჩვენს პარასპორტსმენებს ქვეყნის სახელის ღირსეულად წარმოჩენისთვის.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ახალი სასწავლო წელი და ახალი ინფრასტრუქტურა!

230 პირველკლასელი საჯარო, 18 კი კერძო სკოლაში ისწავლის

ახალი სასწავლო წელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში 15 სექტემბერს განახლდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან გოჩა სამუკაშვილთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან მაკა ჯანაშვილთან, მერიის კულტურისა და განათლების სამსახურის უფროსთან თამარ თამაზაშვილთან ერთად ქ. დედოფლისწყაროს, სოფელ ხორნაბუჯის, ზემო მაჩხაანის, არბოშიკის და გამარჯვების საჯარო სკოლებს ეწვია და მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა.

როგორც საგანმანათლებლო რესურსცენტრში აცხადებენ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში 2 678 მოსწავლეა. სკოლის ზარი პირველად წელს 230 მოსწავლისთვის დაირეკა.

აქტიურად გრძელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განახლება. საქართველოს მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით მუნიციპალიტეტში ახალი სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს, უახლოეს პერიოდში კიდევ რამოდენიმე სკოლის მშენებლობა დაიწყება.

როდის დასრულდება ექვსი სკოლის მშენებლობა?!

ახალი სასწავლო წლის გამოწვევებზე გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს მაკა ჯანაშვილს ესაუბრა:

– დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც ქვეყნის მასშტაბით, 2023-2024 სასწავლო წელი 15 სექტემბერს დავიწყეთ. მოგეხსენებათ, ქალაქ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე 15 საჯარო და 1 კერძო სკოლაა. დღევანდელი მოცემულობით, საჯარო სკოლებში სწავლობს 2680 მოსწავლე, რომელთაგან 230 პირველკლასელია. წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა ინტერნატმა წელს მიიღო 18 პირველკლასელი მოსწავლე.

– ქალბატონო მაკა, არაერთ სკოლაში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, რა ეტაპზეა ეს პროცესი, სად ივლიან მოსწავლეები გარდამავალ პერიოდში?

– გეთანხმებით, სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება აქტიურად მიმდინარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში. შესაბამისად, აქტიურ ფაზაშია სკოლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ხელისუფლებიდან უდიდესი ხელშეწყობაა და დაინტერესება იმისთვის, რომ სკოლის თითოეულმა მოსწავლემ ისწავლოს კეთილმოწყობილ, ადაპტირებულ და თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ სკოლებში. ეს პროცესი ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, მუნიციპალური განვითარების ფონდის და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთობლივი ჩართულობით. რაც შეეხება, კონკრეტულ სკოლებს, მოგახსენებთ, რომ აქტიურად მიმდინარეობს და უნდა ითქვას, რომ დასრულებულია ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის შენობის დემონტაჟი და უკვე სრული მოცემულობაა იმის, რომ დაიწყოს ახალი სკოლის მშენებლობის პროცესი. 1 ოქტომბრიდან სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლაში იწყება შენობის სრული რეაბილიტაცია. სოფელ ოზაანში აქტიურად მიმდინარეობს ახალი სკოლის მშენებლობის პროცესი. სამთაწყაროს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია ფაქტობრივად დასასრულს მიუახლოვდა, მცირე ინფრასტრუქტურული დეტალებია მოსაწესრიგებელი და სულ მალე სკოლის მოსწავლეები გადავლენ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ სკოლის შენობაში. ასევე, სკოლის სამშენებლო პროცესი უნდა დაიწყოს სოფელ არბოშიკშიც. აქაც, აშენდება თანამედროვე, უახლესი სტანდარტების სკოლა.

რაც შეეხება სასწავლო პროცესს, მოგახსენებთ, რომ **სამრეკლოს საჯარო სკოლის ალტერნატიულ ფართად გამოყენებულია ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა. არბოშიკის საჯარო სკოლამ კი სწავლა დაიწყო სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში. ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა კი სასწავლო პროცესს ახორციელებს სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში. მოსწავლეთა გადაადგილების პროცესს რაც შეეხება აქაც აქტიურად ჩაერთო ადგილობრივი მმართველობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად და თითოეულ მოსწავლეს ემსახურება ტრანსპორტი,** რაც რა თქმა უნდა ერთ-ერთი გარანტია მოსწავლეთა უსაფრთხოდ გადაადგილების და სწავლის ხელშეწყობის.

– სამთაწყაროს ახალი სკოლა ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა გახსნილიყო, რატომ გაჭიანურდა და როდისთვის ვარაუდობთ სკოლის შესვლას ახალ შენობაში?

– მოგეხსენებათ, მშენებლობის პროცესს ის კომპანიები ახორციელებს, რომლებიც სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში იმარჯვებენ. შესაბამისად, მათ ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა და ვალდებულება იმაზე, რაც ხელშეკრებით აქვთ დაკისრებული. მათი მხრიდან არის ხოლმე პროცესი შენელებული. დღევანდელი მოცემულობით სამთაწყაროს საჯარო სკოლის სრულ რეაბილიტაციას ალბათ რამოდენიმე, 2, ან 3 თვე დასჭირდება და პირველი სემესტრის დასასრულს იგეგმება სასკოლო საზოგადოების გადასვლა ახალ სკოლაში.

– ქალაქის პირველი სკოლის დემონტაჟი გაჭიანურდა, თუმცა შეჩერებული პროცესი ხელახლა დაიწყო. რა იყო შეფერხების მიზეზი?

– აქაც ფაქტობრივად იგივეს ვიტყვი, რაც სამთაწყაროს სკოლასთან მიმართებით ვთქვი. პირველ სკოლის დემონტაჟის პროცესი შეაჩერა იმ კომპანიის უპასუხისმგებლო და არასანდო მიდგომამ, რომელსაც უნდა შეესრულებინა სკოლის სრული დემონტაჟი, მაგრამ კომპანიამ მიატოვა მის მიერ დაწყებული პროცესი, ამიტომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთიანი ძალისხმევის შედეგად კვლავ განახლდა სკოლის დემონტაჟი და დღეს ვხედავთ იმ მოცემულობას, რომ ახალმა კომპანიამ უმოკლეს დროში შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება და ფაქტობრივად უკვე მშენებლობის დაწყების ეტაპზეა სკოლა.

– დირექტორთა არჩევის პროცესი რა ეტაპზეა, როდის იგეგმება სამეურვეო საბჭოს მიერ დირექტორების არჩევა?

– განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირების ფარგლებში გასაუბრების ეტაპი დასრულებულია. სკოლის დირექტორობის მსურველებთან , სამეურვეო საბჭოებისათვის წარდგენის მიზნით, გასაუბრებები სამინისტრომ აგვისტოს ბოლოს დაასრულა. პროცესი მიმდინარეობს, კანდიდატები ელოდებიან სკოლებში წარდგენას, რომელიც უახლოეს მომავალში დასრულდება. შერჩეული დირექტორთა სტატისტიკური მონაცემები ჩვენთვის ისეთივეა, რაც ქვეყნდება და იწერება საჯაროდ.

– რა მოლოდინები გაქვთ ამ სასწავლო წლიდან?

– დასასრულს, საქართველოს თითოეულ მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს ვულოცავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. მინდა, რომ ეს სასწავლო წელიც ყოფილიყოს მშვიდობიანი და წარმატების მომტანი თითოეული ჩვენთაგანისთვის. გისურვებთ, რომ ჩვენი ერთობლივი, ხარისხიანი, ნაყოფიერი მიდგომებითა და საქმიანობით კიდევ უფრო მეტი წარმატებით გაგვევლოს 2023-24 სასწავლო წელი!“

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

პირველკურსელ სტუდენტთა რაოდენობა

	სკოლა	კურსდამთავრებული	რეგისტრირებული	ჩარიცხული	50%	70%	100%	ვერ-ცხლი	ოქრო
1	ქ დედოფლისწყაროს №1 სკოლა	58	44	44	7	3	3	1	12
2	ქ დედოფლისწყაროს №2 სკოლა	21	6	6				2	2
3	ხორნაბუჯის საჯარო სკოლა	19	3	1					
4	სამრეკლოს საჯარო სკოლა	12	6	6					3
5	ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა	13	8	7	3		2		2
6	არბოშიკის საჯარო სკოლა	11	8	7				3	
7	გამარჯვების საჯარო სკოლა	7	3	3					
8	ოზაანის საჯარო სკოლა	11	7	7					
9	ზემო ქედის №1 საჯ სკოლა	12	9	4					1
10	ზემო ქედის №2 საჯ სკოლა	11	11	9		1			4
11	არხილოსკალოს საჯარო სკოლა	11	7	6				1	1
12	ქვემო ქედის საჯარო სკოლა	10	7	6	3				2
13	სამთაწყაროს საჯარო სკოლა	7	1	1					
14	ფიროსმანის საჯარო სკოლა	5	3	1					
15	საბათლოს საჯარო სკოლა	8	3	1					
16	საპატრიარქოს კერძო სკოლა	6	6	6	2			2	1
	სულ	222	132	115	15	4	5	9	28

ღვთისმშობლის ხატის მოგზაურობა საქართველოში

სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის ლოცვა - კურთხევით დაწერილი ხატი „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო“ 15 სექტემბერს დედოფლისწყაროში ჩამოაბრძანეს. ქალაქის შესასვლელიდან ღვთისმშობლის ტაძრამდე მსვლელობა მოეწყო.

მრევლმა ხატი ხელით წამოაბრძანა და დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში დაა-ბრძანეს, სადაც ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის სამღვდელოებამ საზეიმო პარაკლისი გადაიხადა. 17 სექტემბერს კი სიღნაღში

წააბრძანეს, 16 სექტემბერს ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დარბაზში კინოჩვენება და ლექცია ჩატარდა. ცნობილია, რომ პატრიარქის კურთხევით რეგიონებში დავით კაკაბაძის მიერ შექმნილი ღვთისმშობლის ხატის ასლის მოგზაურობა დაიწყო. ამის პარალელურად, ყველა მუნიციპალიტეტში ლე ლექციები ტარდება. ლექცია წაიკითხეს ისტორიკოსებმა - დარეჯან ქუთათელაძემ და გიორგი ჭეიშვილმა. ლექციის შემდეგ შედგა კინოფილმის „მახარობელი“ ჩვენება. ეს შეხვედრებიც საქართველოს ყველა ქალაქში იმართება.

ახმეტელის თეატრმა დუმბაძის „ჰელადოს“ წარადგინა

კულტურის მინისტრის, თეა წულუკიანის ინიციატივითა და სამინისტროს დაფინანსებით რეგიონებში სხვადასხვა თეატრის გასტროლი გრძელდება. გასული წლის სექტემბერში დედოფლისწყაროს თოჯინების თეატრი სტუმრობდა, ამჯერად კი უფასო სპექტაკლი ახმეტელის თეატრის დასმა წარმოადგინა. წულუკიანის გამინისტრების შემდეგ წელიწადში რამდენჯერმე ცხადდება კონკურსი, რის შედეგადაც შემოქმედებით ჯგუფებს რეგიონებში წარმოდგენების ჩასატარებლად ერთჯერადი დაფინანსება ეძლევათ და 15-მდე ლოკაციაზე წარმოდგენებს მართავენ.

18 სექტემბერს, სოფელ ხორნაბუჯში, ხალხთა მეგობრობის მუზეუმს სტუმრობდა ახმეტელის სახელობის სახელმწიფო თეატრი სპექტაკლით „ჰელლადოს“. სპექტაკლი ღია ცის ქვეშ, მუზეუმის ეზოში გაიმართა და



მსმენელის მხურვალე აპლოდისმენტები დაიმსახურა. მაყურებელთა შორის უმეტესობა ახალგაზრდები და სკოლის მოსწავლეები იყვნენ.

„კულტურის სამინისტროს კონკურსში გამარჯვების შემდეგ დაფინანსდა ჩვენი თეატრის გასტროლი კახეთის რეგიონის სოფლებში. გვინდოდა სპექტაკლი გვეთამაშა ისეთ ადგილებში, სადაც ეს ადგილობრივებისათვის ხელმისაწვდომი არ არის. ამ ნიშნით შეირჩა დედოფლისწყაროს სოფელი ხორნაბუჯიც. დღეს ქვემო მაჩხაანის ისტორიული თეატრსა და სოფელ ხორნაბუჯში წარმოვადგინეთ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი, სადაც ახმეტელის თეატრის ახალგაზრდა თაობა მონაწილეობდა. სამომავლოდაც, ჩვენი თეატრი კვლავაც აქტიურად ეცდება გააგრძელოს ასეთი შინაარსის გასტროლები და სხვადასხვა სოციალური აქტივობები. იმედი გვაქვს, კულტურის სამინისტრო კვლავაც გააგრძელებს ასეთ საგრანტო კონკურსებს და მეტი ხელშეწყობა ექნება თეატრებს საქართველოს რეგიონებში სამოგზაუროდ“.

სოფელ ხორნაბუჯის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ხელმძღვანელი „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ ეს თეატრის მათთან სტუმრობის პირველი შემთხვევაა და ფორმატით მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა და მსახიობებიც“ - აცხადებენ თეატრის წარმომადგენლები.

ქეთევან მჭედლიშვილი

(მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელი): „თეატრის წარმომადგენლებს ღია სივრცეში სურდათ სპექტაკლის ჩვენება. რამდენიმე დღით ადრე გვესტუმრნენ და როცა ჩვენი მუზეუ-

მის ეზო ნახეს, ძალიან მოეწონათ. ამიტომაც გადაწყვიტეს სპექტაკლი აქ ეთამაშათ. ქვემო მაჩხაანის თეატრიდან ჩვენთან მოვიდნენ. სამწუხაროდ, ცივი ამინდი იყო და ამ მხრივ ხელი არ შეგვეწყო, თორემ უფრო მეტ მაყურებელს ველოდით. ახალგაზრდული დასი იყო ჩამოსული, მაგრამ საოცრად კარგად ითამაშეს. კმაყოფილი დარჩა მაყურებელი. პატარა ბავშვიც ბევრი ესწრებოდა, და ისინიც ემოციურად ადევნებდნენ თალ-ყურს ცნობილ ნაწარმოებს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ჩენს სივრცეში თეატრი გვესტუმრა და სპექტაკლი წარადგინა. აღნიშნეს, რომ ჩვენს მსგავსად ისინიც ხშირად ახორციელებენ თემებში სხვადასხვა სოციალურ აქტივობებს და გამოხატეს მზაობა, რომ სამომავლოდ აქტიურად ვითანამშრომლოთ და ერთობლივი ღონისძიებები მოვაწყოთ. ვნახოთ, რამდენად მოვახერხებთ ამას“.

წარმოდგენით კმაყოფილებას გამოხატავდა მაყურებელიც, რომელიც წამყვანი ქართული თეატრების სტუმრობით განებივრებული სულაც არ არის: „მოგეხსენებათ, რეგიონებში იშვიათად ხდება ასეთი სპექტაკლების ჩვენება და გვიხარია, რომ ჩვენს სოფელში ნოდარ დუმბაძის ნაწარმოები დაიდგა. ნამდვილად გაგვიმართლა, რომ ორგანიზატორების მიერ სოფელი ხორნაბუჯი შეირჩა. მუზეუმის ეზო ასეთი ჩვენებებისთვის საუკეთესო ადგილია, დავისვენეთ და დრო საინტერესოდ გავატარეთ. ახმეტელის თეატრი ერთ-ერთი წარმატებული დასია დედაქალაქში და მათ სტუმრობას ველოდით. შთაბეჭდილებებმა კი ნამდვილად მოლოდინს გადააჭარბა, ძალიან ნიჭიერი მსახიობები იყვნენ,“ – აღნიშნავდნენ მაყურებლები.

ნოდარ დუმბაძის გმირებმა მაყურებელი კიდევ ერთხელ დაიფიქრა, სპექტაკლის მიზანიც სწორედ ეს იყო.

ილია მარტყოფლიშვილი

პროფესიული განათლება სავალდებულო ხდება?

პროფესიული განათლება ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური და ცვალებადი მიმართულებაა განათლების სისტემაში. დინამიკურობასა და ცვალებადობას განაპიროებებს შრომის ბაზრის ის ტენდენციები, რომლებიც სწრაფად იცვლება და ეკონომიკის საჭიროებებს ერგება. პროფესიული განათლება იმითაც არის განსაკუთრებული, რომ მას ბევრი აქტორი და დაინტერესებული მხარე ჰყავს: სახელმწიფო სექტორი, კერძო სექტორი, პროფესიული განათლების მიღების მსურველი, ზრდასრული საზოგადოება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროფესიული განათლება საზოგადოების ყველა ფენის ინტერესსა და საჭიროებებს მოიცავს.

პროფესიული განათლების მიღება და უნარების გაუმჯობესება ადამიანს მეტ თავდაჯერებულობას სძენს და დადებითად აისახება ცხოვრების ხარისხზე, შემდეგ კი — ქვეყნის კეთილდღეობაზე. ამიტომ არის პროფესიული განათლება საქართველოს განათლების სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი სფერო. ბოლო წლების განმავლობაში ის ფუნდამენტურად შეიცვალა და მოდერნიზდა, გახდა მეტად მიახლოებული ევროპულ სტანდარტებთან.

სულ ახალხანს გამოცხადებული ინფორმაციით, რომელიც განათლების მინისტრმა გიორგი ამილახვარმა გაავრცელა, სკოლებში, დამამთავრებელ კლასებში მყოფი მოსწავლეებისთვის პროფესიული განათლება სავალდებულო გახდება. მოსწავლეებს, ატესტატთან ერთად, მეორე პროფესიის დამადასტურებელი დოკუმენტიც მიეცემათ. პროცესი ე.წ. ინტეგრირებული პროგრამების დანერგვით განვითარდება. „ჩვენ, პრაქტიკულად, გვინდა, პროფესიული განათლება სავალდებულო ნაწილად გავხადოთ ზოგადი განათლებაში, მაღალ კლასებში, ბუნებრივია, ე.წ. ინტეგრირებული პროგრამების დანერგვით, ვინაიდან ეს უკვე აძლევს შესაძლებლობას ნებისმიერ ბავშვს, ზოგადი განათლების ატესტატთან ერთად, სკოლის დამთავრების დროს უკვე ჰქონდეს შეძენილი ერთი კონკრეტული პროფესია, თავისი ანაზღაურებითა და დასაქმებით," — აღნიშნა გიორგი ამილახვარმა.

სოციოლოგთა გარკვეული ნაწილი აღნიშნავს, რომ ბავშვებისთვის ეს ინიციტიავი საკმაოდ კარგია და დაეხმარებათ მათ ადრეულ ასაკშივე გაერკვნენ სამომავლო საქმიანობაში. მათივე აზრით, პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულთა შედეგები უფრო უკეთესია, ვიდრე უმაღლესი კურსდამთავრებულების. ეს კი იმ პროფესიით დასაქმებას გულისხმობს, რაც მათ შეისწავლეს, რისი თქმაც ძნელია უნივერსიტეტდამთავრებულებზე. მართალია, ძნელია იმის წინასწარმეტყველება, თუ როდის გამოიღებს ეს ინიციატივა შედეგს, მაგრამ ცდად ნამდვილად ღირს.

განათლების ექსპერტთა ნაწილი, არ ემხრობა ამ ინიციატივას იმ მოტივით, რომ სკოლებში ისედაც ბევრი პრობლემაა და უკეთესი იქნებოდა ამ პრობლემებისკენ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. „ვფიქრობ,სკოლაში კი არ უნდა შემოვიდეს პროფესიული განათლება, არამედ უკეთესი იქნება, მოსწავლემ, თუნდაც მე-8 კლასიდან, შეძლოს სკოლიდან პროფესიულ სასწავლებელში გადასვლა. ეს უმტკივნეულოდ უნდა ხდებოდეს და პარალელურად უნდა იღებდეს ატესტატსაც. იმ საგნების შესწავლა, რომლებიც სკოლის პროგრამაშია, არცთუ ხარისხიანად მიმდინარობს. ეს არის საკმაოდ რთული პროცესი და კიდევ ახალი საგნების დამატება, არ არის კარგი აზრი. განსხვავება დიდი იქნება პროფესული სასწავლებლის მიერ მომზადებულ კადრსა და სკოლაში გადამზადებულ მოსწავლეებს შორის. კოლეჯებში ბევრად უფრო ხარისხიანად არის შესაძლებელი საქმიანობის დაუფლება. დღესდღეობით სკოლებში სასწავლო გრაფიკი ისედაც გადატვირთულია, რაც ყველზე მეტად ხარისხზე მოქმედებს და კიდევ სიახლეების დამატება უფრო გაართულებს მდგომარეობას", - აღნიშნავენ ისინი.

გაზეთი „შირაქი" დაინტერესდა თუ რას ფიქრობენ ამ ინიციატივაზე ადგილობრივი პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლები. გთავაზობთ მათ კომენტარებს:

ნანა ლაპიაშვილი, კოლეჯ „აისის" დედოფლისწყაროს ფილიალის მენეჯერის ასისტენტი: „მე ამ ინიციატივას არ ვემხრობი. იმიტომ, რომ ავტომატურად ჩნდება კითხვა, რისთვის არსებობს მაშინ კოლეჯი და პროფესიული სასწავლებლები? გეტყვით, რომ კოლეჯში ისწავლება ზოგადი საგნებიც. თუ მოსწავლეს აღარ უნდა სკოლაში სიარული და მას უკვე კონკრეტული პროფესიისადმი აქვს მისწრაფება და სურს რომ კონკრეტული პროფესია შეისწავლოს, სწორედ ამისთვის არსებობს კოლეჯი. ის კოლეჯმა უნდა მიიღოს, ასწავლოს, მოამზადოს. თუ სკოლაში მსგავსი რამ დაინერგება, მაშინ კოლეჯები საერთოდ უნდა გაუქმდეს?საუბარია იმ კოლეჯებზე, რომელთა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად უდიდესი მატერიალურ/ტექნიკური ბაზა და შრომაა ჩადებული. ეს კოლეჯები მომზადებულები არიან ყველანაირად - ჰყავთ დატრენინგებული და პროფესიონალი პედაგოგები, აქვთ საოცარი სასწავლო გარემო და ინფრასტრუქტურა, რაც სრულყოფილ სწავლაში ხელს უწყობთ. ჩვენთან კოლეჯებშიც არის ინტეგრირებული სწავლება, სადაც ბავშვები სწავლობენ საშუალო განათლების პროგრამას. როდესაც ამთავრებენ მას, ვაძლევთ საშუალო განათლების ატესტატს და პლუს დიპლომს იმ სპეციალობისას, რა სპეციალობაზეც სწავლობდნენ. შემდგომ ამ ატესტატით და სპეციალობის დიპლომით, თავისუფლად შეუძლია კურსდამთავრებულს უმაღლეს სასწავლებელში სწავლა გააგრძელოს. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ცოტა გაურკვევლობასთან გვაქვს საქმე. ჯერ ბოლომდე ყველაფერი ჩამოყალიბებული არ არის, ვნახოთ საბოლოო სახე როგორი იქნება. თუკი კოლეჯი იგივე ფუნქციას ვასრულებ, რატომ ემატება ეს ფუნქცია სკოლას? როდესაც ინტეგრირებული სწავლების შესაძლებლობას კოლეჯი თავისუფლად სთავაზობს ბავშვს. კოლეჯები იმდენად დიდი რესურსი და ამალაა, რომ ამ ყველაფერს რა ბედი ელის, ცოტა გაურკვეველია".

ირმა შოშიაშვილი, დედოფლისწყაროს სამედიცინო და ჰუმანიტარული კოლეჯის სასწავლო ნაწილი: „ჩემთვის, როგორც მშობლისთვის, ეს ინიციატივა მისაღებია. მსურს, ჩემმა შვილმა, სკოლას სანამ დაამთავრებს, ერთი პროფესია მაინც შეისწავლოს. თანაც ისეთი, რომ შემდგომ შეძლოს ამ პროფესიით დასაქმება და შრომის ბაზარზე შესაბამისი კონკურენციის გაწევა. ეს, თავისთავად, სასარგებლო იქნება და ბევრად წინ წასწევს ბავშვებს, სკოლის მოსწავლეებს, განსაკუთრებით კი დამამთავრებელ კლასებს. თუმცა, მაქვს სხვა მოსაზრებაც, რომელიც პროფესიიდან და ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ლოგიკურია. თუკი ამ ფუნქციას მთლიანად შეითავსებს სკოლა, მაშინ ნამდვილად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება კოლეჯების ყოფნა/არყოფნის საკითხი. თუ სასწავლო პროგრამაში ჩაჯდება ის მიმართულებები, რომლებიც ჩვენს კოლეჯს ძირითად მიმართულებად აქვს დამტკიცებული (და ვფიქრობ, ასეც იქნება დღევანდელი შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე), მაშინ ეს პირდაპირი დარტყმა აღმოჩნდება ჩვენთვის. კითხვის ნიშანი ამ ეტაპზე ძალიან ბევრი მიმართულებით გაჩნდა, როგორიცაა, მაგალითად, რა დატვირთვით იქნება შეტანილი საგნები, რა მიმართულებები და რა ხანგრძლივობა იქნება შერჩეული. ამიტომ, ინიციატივა როდესაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდება, მაშინ შეგვეძლება, ალბათ, დადებით და უარყოფით მხარეებზე მტკიცებით ფორმაში საუბარი. როგორ შედეგებზე გავალთ და რა დროში იქნება ეს მიღწეული, ამაზე რთულია საუბარი. პროფესიული თვალსაზრისით, მიუღებლად მიმაჩნია კოლეჯების ფუნქციების შესაძლო საფრთხის ქვეშ დაყენება".

ამ დროისთვის უცნობია, რა პროფესიების არჩევა შეეძლებათ მოსწავლეებს ან როდიდან დაიწყება ახალ მოდელზე გადასვლა, თუმცა, ერთი რამ ფაქტია, მოსწავლეებს გარკვეული ინფორმაცია ექნებათ ამა თუ იმ პროფესიის შესახებ და სამომავლო გადაწყვეტილებების მიღება გაუმარტივდებათ. აშკარაა, რომ სამუშაო ბევრია, თუმცა ეს შედეგს წლების შედეგ გამოიღებს.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ინფორმირებული ახალგაზრდები ძლიერი თემისთვის

გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში" დაფინანსებით მიმდინარე პროექტის „ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის" და ფონდი „პური მსოფლიოსთვის" პროგრამის ფარგლებში, ქალთა და ახალგაზრდობის ცენტრ „არბოშიკის" ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი, პროექტის კოორდინატორ ჟუჟუნა ყანჩაშვილთან და მოხალისეებთან ერთად 19 სექტემბერს კოლეჯ „აისის" დედოფლისწყაროს ფილიალს ესტუმრნენ.

კოლეჯი „აისი" რამდენიმე მიმართულებით იღებს დაინტერესებულ პირებს: თმისა და სილამაზის მომსახურება, თექის დამზადება, საექთნო საქმე, ბუღალტერია, კომპიუტერული მეცნიერებები, ქვის წარმოება, ელექტრობა, შედუღება, მშენებლობა.

კოლეჯის პერსონალმა ბავშვებს ის განყოფილებები და აუდიტორიები დაათვალიერებინა, სადაც როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობები მიმდინარეობს. ბავშვებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს როგორც

სასწავლო კურსების, სწავლის ხანგრძლივობისა თუ ტექნიკური საშუალებების, ასევე იმ მატერიალურ/ტექნიკური ბაზის შესახებ, რომლის მეშვეობითაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

გარდა ამისა, კოლეჯის პერსონალმა პრაქტიკულადაც განახორციელებინა ის მანიპულაციები, რასაც სტუდენტები სასწავლო პროცესში იყენებენ. ბავშვებში საკმაოდ დიდი დაინტერესება და აღფრთოვანება გამოიწვია თითოეული მიმართულების ამომწურავმა ნახვამ და განხილვამ. საინიციატივო ჯგუფი მადლობას უხდის კოლეჯ „აისის" ხელმძღვანელობას, პედაგოგებს და ტექნიკურ პერსონალს გულთბილი მიღებისა და ბავშვების მაღალ დონეზე ინფორმირებულობისთვის.

როგორც პროექტის კოორდინატორი გაზეთ „შირაქთან" საუბარში აღნიშნავს, არბოშიკის ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი მომავალშიც გააგრძელებს საგანმანათლებლო-შემეცნებითი შეხვედრების ჩატარებას და მოსწავლე-ახალგაზრდების ინფორმირებულობას უკეთესი, ძლიერი და განათლებული თემისთვის.

„ჩვენი შესაძლებლობების შესახებ“

22 სექტემბერს, პროექტის „დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობების გაძლიერება სიღნაღის მუნიციპალიტეტში“, საბოლოო შედეგების წარდგენა გაიმართა სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირ თემ „ქედელში“. შეხვედრას სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი მალხაზ ბეგიაშვილი, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს, საკრებულოს და კახეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და სოციალური ცენტრების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა თემი ქედელის ხელმძღვანელმა ლალი ხანდოლიშვილმა, რუსუდან ტუშურმა - გაეროს UNDP განვითარების პროგრამის ადამიანის უფლებების პროექტის მენეჯერმა, მალხაზ ბეგიაშვილმა - სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერმა.

პროექტის შედეგების წარდგენასა და პრეზენტირებას უძღვებოდა ლალი ხანდოლიშვილი, რომელიც საზოგადოებას პროექტის მიზნებსა და შედეგებზე ესაუბრა: „ჩვენი პროექტის (სრული ბიუჯეტი 10,000 დოლარი) მიზანს სიღნაღის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური ინკლუზიის, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ახალი სოციალური სერვისის - პერსონალური ასისტენტის იმპლემენტაციის ხელშეწყობას წარმოადგენდა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

•მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების პერსონალური ასისტენტის საჭიროებების იდენტიფიცირება პირისპირ გამოკითხვის პრინციპით;

•შესაბამისი კვლევის ანგარიშისა და რეკომენდაციების მომზადება;

•მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ პირებისთვის ანგარიშის წარდგენა პერსონალური ასისტენტის პროგრამის შემუშავებისთვის;

•თემი ქედელის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება კახეთის სხვა მუნიციპალიტეტებისთვის;

•ვიდეო რგოლის მომზადება პერსონალური ასისტენტის პროგრამის თაობაზე;

ლალი ხანდოლიშვილმა ასევე ისაუბრა კვლევის მეთოდოლოგიაზე, კვლევის ინსტრუმენტებზე, კითხვარზე მის ხანგრძლივობასა და სამიზნე ჯგუფებზე: „რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა 2023 წლის აპრილი-ივლისის პერიოდში სიღნაღის მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციულ ერთეულში. კვლევის ინსტრუმენტებს წარმოადგენდა ინტერვიუ-ანკეტირება/პირისპირ გამოკითხვა, წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით. კითხვარი მოიცავდა 19 შეკითხვას დახურული პასუხებით „არ ესაჭიროება დახმარება“, „ხშირად ესაჭიროება დახმარება“, „მუდმივად ესაჭიროება დახმარება“. გამოკითხვის ხანგრძლივობა იყო 30 წუთი. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ სიღნაღის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში (14 სოფელი) მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარები და მათი მშობლები/მხარდამჭერები. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 408 შშმ პირი, 47%-ს წარმოადგენდნენ ქალები, მათ შორის 7% იყო გოგონები. რესპოდენტების 40% აქვს მრავლობითი, ხოლო 20% -ს სენსორული შეზღუდვა. გამოკითხულთა 7%-ს არ აქვს დადგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, 58% კი მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. გამოკითხულთა 67%-ს აქვს მრავლობითი და მძიმე შეზღუდვები. “

კვლევის ფარგლებში შეისწავლეს რესპონდენტის ასისტირების სფეროები, როგორიცაა თვითმოვლა და ჰიგიენა, კვება, საოჯახო საქმეები, მობილობა და კომუნიკაცია, ჯანმრთელობის დაცვა, საზოგადოებრივი ცხოვრება და დასვენება/რეკრეაცია, რთული ქცევის მართვა და განვითარება. თითოეული ასისტირების სფეროს ქვეშ გამოიყო ასისტირების სახეები, (როგორც ეს გათვალისწინებულია სტანდარტებში) და იდენტიფიცირდა რესპიდენტების რაოდენობა, რომელთაც არ ესაჭიროებათ, ხშირად ან მუდმივად ესაჭიროებათ ასისიტირების ესა თუ ის სახე. გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობას ჯანმრთელობის დაცვის, საოჯახო საქმეებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის განხორციელებისას ესაჭიროება დახმარება. ყველაზე ნაკლები რესპოდენტი საჭიროებს მშობლის როლის განხორციელებაში დახმარებას. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არსებული სტიგმის სიღრმეებს და დამოუკიდებელი პირადი ცხოვრების პოპულარიზაციის/ადვოკატირების აუცილებლობას. გამოკითხული ბენეფიციარების სრული უმრავლესობა 98% არ სარგებლობს არცერთი სოციალური სერვისით და იღებენ მხოლოდ მონეტარულ დახმარებას, როგორიცაა სოციალური პაკეტი ან ერთჯერადი მუნიციპალური დახმარება. კვლევამ კიდევ ერთხელ ცხადყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების თაობაზე მათი ოჯახების და მხარდამჭერების ძალიან დაბალი მიმღებლობა. ისინი (90%) კვლევის პროცესში აცხადებდნენ, რომ არ სურთ პერსონალური ასისტენტის სერვისით სარგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში მონაწილე ყოველი მესამე ბენეფიციარი საჭიროებს რეგულარულ ასისტირებას.

კვლევამ ასევე გასცა რეკომენდაციებიც:

•შემუშავდეს და ეტაპობრივად გაიზარდოს რეგულარული პერსონალური ასისტენტის პროგრამა არანაკლებ 50 ბენეფიციარისთვის, რომელიც გაეწევა ფიზიკური, სენსორული, ასევე მსუბუქი ან საშუალო გონებრივი შეზღუდვის და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს და არ მოითხოვს ასისტენტების სპეციალიზებულ მომზადებას;

•უზურნველყოფილ იქნას რეგულარული ასისტირება (თვეში 60 საათის განმავლობაში საჭიროების გათვალისწინებით), როგორც ეს განსაზღვრულია პერსონალური ასისტენტის სტანდარტით;

•შემუშავდეს სპეციალური პერსონალური ასისტენტის პროგრამა არანაკლებ 70 ბენეფიციარისთვის და ეტაპობრივად გაიზარდოს პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა;

•უზრუნველყოფილ იქნას მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ ბავშვებისთვის (გამოკითხულთა 9,5%) დამატებითი სოციალური სერვისის მიწოდება, როგორც ბავშვთა აბილიტაცია, რეაბილიტაცია და სხვ;

•განხორციელდეს დამატებითი ჩარღმავებული კვლევა მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის და მშობლის უფლების განხორციელების საკითხზე;

•წინამდებარე კვლევის საფუძველზე მომზადდეს მუნიციპალური პროგრამის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა;

რა არის პერსონალური ასისტენტის პროგრამა?

პერსონალური ასისტენტის პროგრამა ესაა სერვისი, მომსახურება, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უწევს სათანადო დახმარებას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, აგრეთვე განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას. ასეთ მომსახურებებთან დაკავშირება და მომსახურების მიღებაში ხელშეწყობა შეიძლება იყოს პერსონალური ასისტირების ნაწილი. ასისტირება შეიძლება იყოს ორი სახის:

1)რეგულარული ასისტირების მომსახურება - ასისტირების ტიპი, რომელიც გაეწევა ფიზიკური, სენსორული, ასევე მსუბუქი ან საშუალო გონებრივი შეზღუდვის და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს.

2)სპეციალური ასისტირების მომსახურება - ასისტირების ტიპი, რომელიც გაეწევა მძიმე და ღრმა გონებრივი შეზღუდვის, მძიმე ფიზიკური, ასევე მრავლობითი შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს და მოითხოვს სპეციალიზებულ/დამატებით მომზადებას - სატრენინგო კურსის გავლას.

პერსონალური ასისტირების ზოგადი და სპეციალიზებული მოსამზადებელი სატრენინგო კურსების კრიტერიუმებს ადგენს და ითანხმებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. შეხვედრის შემდეგ მოეწყო პროექტის ფარგლებში შექმნილი ვიდეორგოლისა და ფილმის „ჩვენი შესაძლებლობების შესახებ“ ჩვენება.

პროექტი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მცირე გრანტების ფარგლებში ხორციელდება და რამდენიმე თვეს მოიცავდა. შეგახსენებთ, რომ „ქედელი არის ადგილი, სადაც ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, ერთმანეთზე ზრუნავენ და ერთმანეთის მადლიერები არიან. ბნელი, უიმედო, 1990-იანი წლების ბოლოს მწიფდებოდა ახალი იდეა, დაარსებულიყო საცხოვრებელი ერთობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, სადაც მათ ექნებოდათ ღირსეული თანაცხოვრების შესაძლებლობა. სოციალურ-თერაპიული თემი ქედელი, მენტალური პრობლემების მქონე ზრდასრულ პირთათვის, 1999 წელს დაარსდა სიღნაღის რაიონის სოფელ ქედელში. თემის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა იმ დროისთვის გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი შშმ პირებისთვის სიცოცხლის შენარჩუნება და ადამიანის ღირსების შესაფერისი ოჯახური გარემოს შექმნა. მთავარი ამოცანა იყო მათი შესაძლებლობების გამოვლენა, უნარების განვითარება, სახელობო საქმიანობების დასწავლა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. დღეს ქედელში 3 სახლოვრებელი სახლია 28 მაცხოვრებლით და 17 უერთგულესი თანამშრომლით. მრავალი წლის განმავლობაში ქედელმა უამრავი მეგობარი, მხარდამჭერი და გულშემატკივარი შეიძინა. ერთმანეთზე ზრუნვით, მადლიერებით, სიყვარულით ცხოვრობენ და მიისწრაფვიან განვითარებისკენ“.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ვაქცინაციის აუცილებლობაზე შეხვედრა გაიმართა

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრისა და მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობით კონფერენცია „იმუნიზაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება გაიმართა“. შეხვედრაზე დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის ეპიდემიოლოგმა ლალი ალადაშვილმა და გაეროს ასოციაციის საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების კოორდინატორმა ზურაბ ალხანიშვილმა ვაქცინაციის მნიშვნელობასა და პანდემიების დამარცხებაში მის როლზე ისაუბრეს.

კონფერენცია კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. შეხვედრის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, მათთვის საინტერესო შეკითხვებზე პასუხები კომპეტენტური პირებისგან მიეღოთ.

ზურაბ ალხანიშვილმა დარბაზს ჰკითხა, როდის უფრო დიდხანს ცოცხლობდა ადამიანი, წინათ, თუ ახლა?

„ერთი საუკუნის წინ, როცა საქართველოს პირველი რესპუბლიკა შეიქმნა, დედამიწაზე მილიარდ ნახევარი ადამიანი ცხოვრობდა, ასი წლის შემდეგ კი ეს რიცხვი შვიდჯერ გაზრდილია და სულ რაღაც ერთ საუკუნეში დედამიწაზე ადამიანების რიცხვი 8 მილიარდს გადასცდა. მანამდე სხვადასხვა მიზეზების გამო კაცობრიობა ვერ მრავლდებოდა და მილიარდს არ სცილდებოდა. ასევე საინტერესო საკითხი წამოიჭრა: მაშინ უფრო დიდხანს ცხოვრობდა ადამიანი თუ დღეს?“ – კითხვით მიმართა ზურაბ ალხანიშვილმა.

დამსწრეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ წინა საუკუნეში უფრო დიდხანს ცოცხლობდნენ, არგუმენტად კი ის გარემოება დაასახელეს, რომ მაშინ ბევრად სუფთა ჰაერი და ჯანსაღი კვება იყო. მოქალაქეთა ეს პასუხი მცდარია, რადგან მაშინ საკვები პროდუქტები ამდენად მრავალფეროვანი არ იყო და არც აცრები ტარდებოდა. საკვების გამრავალფეროვნებისა და ვაქცინაციის დამსახურებით, დღეს ადამიანების საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა გაზრდილია.

„ვახტანგ გორგასალს უყვარდა თუ არა კიტრი-პომიდვრის სალათა?.. ან, მირიან მეფეს უყვარდა თუ არა ლობიოში მოხარშული პური? თქვენი პასუხი იქნება კი! მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ მათ ეს პროდუქტები ვერ ეყვარებოდათ, რადგან იმ ეპოქაში ეს პროდუქტები ჯერ არ გვქონდა. სანამ ინდოეთთან სავაჭრო ურთიერთობები არ დავამყარეთ, მანამდე ლობიო არ გვქონდა, ხოლო სანამ ამერიკა არ აღმოაჩინეს, მანამდე პომიდორი და კიტრი არ გვქონდა. ამიტომაც, ასი წლის წინ ჩვენი წინაპრები უკეთეს კვებას ვერ მოახერხებდნენ, რადგან პროდუქტების უმრავლესობა არ ჰქონდათ. კვებითი მრავალფეროვნება მსოფლიოში ბოლო ათწლეულების დამსახურებაა, მანამდე ეს ასე არ იყო. თუმცა ხარისხი კიდევ სხვა საკითხია. ამიტომაც მანამდე ქალების საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა იყო 32 წელი. კაცების ცოტა უფრო მეტი იყო“ – განმარტა ალხანიშვილმა.

ლალი ალადაშვილი ***(დედოფლისწყაროს მთავარი ეპიდემიოლოგი):*** „ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გამოვიდა, ეს იყო ინფორმაციის გაცვლის საუკეთესო საშუალება. მოწვეული გვყავდა სოფლებიდან ბაგაბაღების თანამშრომლები, პედაგოგები, უბნის ექიმები და მათთვის მნიშვნელოვანი იყო იმუნიზაციის კუთხით კიდევ ერთხელ ამაღლდეს მათი ცნობიერება. ჩვენს სათქმელს, რომელიც ამ შეხვედრაზე მოისმინეს, თითოეული მათგანი თავის სამოქმედო ტერიტორიაზე უშუალოდ მოქალაქეებთან მიიტანს და ამ შეხვედრის მიზანიც სწორედ ეს იყო. ყველა ერთად ვიზრუნებთ ბავშვების ჯანმრთელობაზე. ჩემი სამსახურის სახელით კიდევ ერთხელ გამოვხატე მზაობა, ნებისმიერ დროს მოვაწყოთ შეხვედრები სოფლებში, სასწავლო დაწესებულებებში, სხვადასხვა ორგანიზაციებში დაინტერესებულ საზოგადოებას შევხვდეთ და აცრებთან დაკავშირებით ვრცლად ვისაუბროთ. ხშირად მშობლებმა არ იციან რამდენად საჭიროა აცრები და მზად ვართ ასეთ მშობლებსაც ვესაუბროთ“.

ზურაბ ალხანიშვილი: „შეხვედრა ეძღვნებოდა გეგმიურ ვაქცინაციას, რადგანაც კოვიდ-პანდემიამ ცოტა შეაფერხა ეს პროცესი. ამიტომ, სპეციალისტები ვშიშობთ, რომ ამის გამო შესაძლოა, თავი იჩინოს ისეთმა დაავადებებმა, რომლებიც მეტწილად დავიწყებული გვაქვს და მართვადად ითვლება. ამიტომ, ვცდილობთ რეგიონებში ჩავიდეთ და ადგილობრივებს ავუხსნათ, როგორ აღვადგინოთ აცრების ის კალენდარი, რაც მანამდე გვქონდა. აუცილებელია გავიხსენოთ ის სარგებელი, რაც ამ აცრებმა მოგვიტანა თავის დროზე. უნდა გვახსოვდეს ის საფრთხეებიც, რაც აცრების უგულებელყოფამ შეიძლება მოგვიტანოს. თუმცა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მომუშავე ჯანდაცვის პერსონალი იმ გამოცდილებასა და კვალიფიკაციას ფლობს, რომ ვფიქრობ, შეგვიძლია წარმატებით იყოს გამოყენებული ეს რესურსი. მათ თავის მხრივ კიდევ უფრო მეტი შეხვედრები ჩაატარონ მოსახლეობასთან. პასუხების გაცემას საჭიროებს ის შეკითხვები, რომლებიც აცრებთან დაკავშირებით მოსახლეობაში არსებობს. დარწმუნებული ვარ, სკეპტიკურად განწყობილ ადამიანებს არ სურთ მათ საყვარელ ადამიანებს მიადგეთ რაიმე ზიანი. მაგრამ მათ აქვთ გარკვეული კითხვები, რის გამოც შესაძლოა თავს იკავებდნენ აცრებისგან. ამიტომაც, ეს საკითხი კვალიფიციურ განმარტებებს საჭიროებს. დედოფლისწყაროს პერსონალის კვალიფიკაცია ნამდვილად იძლევა შესაძლებლობას, რომ მათ გამოცდილებას მოქალაქე დაეყრდნოს.

ამგვარ შეხვედრას დედოფლისწყარომ 2021 წლის 11 ნოემბერსაც უმასპინძლა.

ილია მარტყოფლიშვილი

ვაჟა-ფშაველას ძმისშვილი ივანე რაზიკაშვილი დედოფლისწყაროში მოღვაწეობდა

დიდი ილიას უკვდავი გენიოსური სიტყვები მიესადაგება ზუსტად ამ სტატიის გმირს, რომელიც ვაჟა-ფშაველას ძმიშვილი იყო და წითელწყაროს განათლების სისტემაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი. ეს გახლავთ ივანე (ვანო) რაზიკაშვილი.

იგი 1904 წელს, მაისის თვეში, მთაში, რვაშვილიან ოჯახში დაბადებულა. ადვილი მისახვედრია, თუ რა ეკონომიურ ხელმოკლეობას განიცდიდა მათი ოჯახი. მამამ - ნიკოლოზმა იგი ბიძასთან, თევდორესთან, ქალაქ გორში წაიყვანა. იქ სემინარიაში დაიწყო სწავლა პირველი კლასიდან, შემდეგ კი 7 წელი მასწავლებლობდა. ბიძის ოჯახში, ოთხ ბიძაშვილთან ერთად იზრდებოდა და თავს უხერხულად გრძნობდა. ბიცოლა მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ქალბატონი ბრძანდებოდა, რომელიც ივანეს საკუთარი შვილებისგან არ არჩევდა. ამ ყველაფერმა მის ჩამოყალიბებაზე დადებითი გავლენა მოახდინა. სწავლა დაამთავრა თუ არა, მამამისი და ბიძა, ვაჟა-ფშაველა გორში ჩავიდნენ და სახლში წამოიყვანეს.

ვაჟას - გენეტიკურად ბუნების მაღმერთებელ კაცს, შეუმჩნეველი არ დარჩა, რომ მოზარდი - ილო ბუნებაზე შეყვარებული იყო და მანაც ერთ-ერთ ლექსში დაწერა ბუნების კანონზომიერებაზე.

„...ბარდებზე ყივის ხოხობი,
ტყეში – ღუღუნებს ქედანი;
ბულბული გალობს ვარდზედა,
მის ტრფობით ღამის მთევარი.
...და ნატრობს, რომ:
ახ, ნეტავ, მეც გამითენა
დღე საამო და ნეტარი;
მენახა, მტრის და მოყვარის
გულში გაყრილი ნესტარი“...

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი ცხოვრება რთულ ეპოქაში გაატარა, ფარხმალი არ დაუყრია. ლექსში, რომელიც 74 წლის ასაკში დაწერა, ნატვრა არ შეუსრულდა. ის ცხოვრების გასაუმჯობესებლად ბრძოლას განაგრძობდა, არ გადაუხვევია სწორი გზიდან. სწავლას მიეძალა. მამამ თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიიყვანა. გამოცდების წარმატებით დამთავრების შემდეგ 1912-13 სასწავლო წელს მესამე კლასში ჩარიცხვა მოახერხა. თუმცა, აქაც ბედმა უმტყუვნა, მარცხი განიცადა, რადგან 1914 წელს იმპერიალისტური ომი დაიწყო. სკოლა დაიკეტა.

მისი ავტობიოგრაფიიდან დიდი ტკივილი და საყვედური იკითხება, ქვეყნის არეულ-დარეული ვითარების გამო, მაგრამ იმდენად ოპტიმისტი იყო, რომ არასოდეს კარგავდა დროს. მუდამ ცოდნის მიღებისთვის იბრძოდა, რომ საკუთარი სამშობლოსთვის რაიმე ერგო. სწავლასმოწყურებული უკვე 21 წლის ჭაბუკი, მთის შვილი ისევ მიუბრუნდა ცოდნის კერას. 1925-30 წლებში დაამთავრა სტალინის სახელობის უნივერსიტეტი საკოლმეურნეო განხრით. აქედან დაიწყო ახალი ეპოქა მისი კარიერისა: იმუშავა მგეგმავ-ეკონომისტად, ერწო თიანეთის სამეურნეო კავშირში. შემდეგ, სახბანკის განყოფილებაში, ე.წ. მიწგანში.

1928 წლიდან შეწყვიტა მთაში მოღვაწეობა და გადმოსახლდა წითელწყაროს სოფელ ქვემო ქედში. ის უკვე ქვემო ქედის კომუნის წევრი - აქტიური და ერთგული პიროვნებაა. 1933-34 წლებში სოფლის კომუნას წარმატებით თავმჯდომარეობდა.

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ნატვრად ჰქონდა გადაქცეული, სკოლაში მასწავლებლად ემუშავა. ამის ასრულება 1935 წლიდან შეძლო. როგორც მისი შთამომავლები გვიამბობენ, ივანე რაზიკაშვილი დედოფლისწყაროს პედაგოგთა არმიას 1935-39 წლებში შეუერთდა. ქართულ ენასა და ლიტერატურას ჯერ ქალაქ წითელწყაროს პირველ საშუალო სკოლასა და რუსულ სკოლაში ასწავლიდა მონაცვლეობით. შემდეგ კი გადავიდა ქვემო ქედის სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად. პედაგოგიური მოღვაწეობის უწყვეტი სტაჟით 1964 წლამდე იმუშავა. იყო კომუნისტური პარტიის წევრი. (წევრის სტატუსი იმ პერიოდში დიდი პატივი იყო) ყველა საქმეში აქტიური და თავდადებული შრომისთვის მიღებული ჰქონდა შრომითი წარჩინების მედალი და რაც ყველაზე მეტად ახარებდა, ის დაჯილდოვებული იყო ქვემო ქედის სკოლის ისტორიაში დამსახურებული პედაგოგის საპატიო მედლით. ამ მედლის მფლობელი სულ რამდენიმე მასწავლებელი გახდა.

შეუძლებელია ამ პატარა სტატიაში ჩაეტიოს ყველა ეპიზოდი მისი პატიოსნებით გავლილი ცხოვრებისა. მაგრამ, გადავწყვიტეთ, გარკვეული ადგილი დავუთმოთ იმ მოგონებებს, რაც დღემდე არსებობს ქვემო ქედში.

როგორი მამა და მეუღლე იყო ჩვენი სტატიის გმირი ვანო რაზიკაშვილი?

მისი ქალიშვილი, მარიამ რაზიკაშვილი მოგონებებში მამას იხსენებს, როგორც საუკეთესო მშობელს და განუმეორებელ პიროვნებას, გთავაზობთ ციტატას: - მამა როცა დაღლილი დაბრუნდებოდა, ჩვენთან (შვილებთან) ყველაფერს ივიწყებდა, მუხლებზე დაგვისვამდა დამივე დას, გვასწავლიდა ფშავურ, თუ კლასიკურ ლექსებს - განსაკუთრებით ხშირად სამშობლოს სიყვარულზე. ასევე გვასწავლიდა სიმღერებს (საოცრად ტკბილი ხმა ჰქონდა) და ცეკვებსაც. უკრავდა ფანდურს, რაც ძალიან კარგად გამოსდიოდა.

როგორი მეუღლე იყო?

დატვირთული დღის რეჟიმის მიუხედავად არასდროს ავიწყდებოდა მეუღლის (დედაჩვენის) პატივისცემა. დილით თვითონ ადრე დგებოდა. დაღლილ მეუღლეს არ აღვიძებდა. თვითონ საქმიანობდა, ცეცხლსაც თავად აანთებდა, საქონელს (პირუტყვს) მიხედავდა. მერე კი ჩვენ, მოსწავლეებს მარშისკენ მოგვიწოდებდა, რომ გაკვეთილზე არ დაგვგვიანებოდა.

მისი ერთ-ერთი ნამოწაფარი, ქვემო ქედის წარჩინებული მასწავლებელი - **ასმათ ხომასურიძე** იხსენებს: „ვანო მასწავლებელი გაკვეთილზე არასოდეს ჯდებოდა. სულ ჩვენს ირგვლივ მოძრაობდა. გვისწორებდა ნაშრომს, სითბოთი სავსე სიტყვებით გვაძლევდა შენიშვნებს. საოცარი წვდომა ჰქონდა ჩვენს შესაძლებლობებზე და გზას გვინათებდა მომავლისკენ. რა თქმა უნდა მაშინ მის გრძნობებში ბოლომდე ვერ ვწვდებოდით, მაგრამ როცა დავფრთიანდით, მივხვდით მის ფასს და დღემდე არ გამქრალა მისდამი სიყვარული ჩვენი გონების ჰორიზონტიდან“.

სწორედ ესაა მასწავლებლის მიერ დატოვებული ნათელი კვალი.

გულნარა ტვილდიანი
ქვემო ქედის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაცია და გაზეთ „შირაქის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტი, მწერალი, ექსპერტი, საუკეთესო ფოტოკორესპონდენტი **გია გაბრიჩიძე** და თანადგომას უცხადებენ ამავე გაზეთის მთავარ რედაქტორს სპარტაკ ქობულიას და მთელ შემოქმედებით კოლექტივს.

სარედაქციო ფოსტა

ინიციატივა მირზაანიდან

საუკუნეებია მნახველის თვალს ხიბლავს ქართული ხუროთმოღვრეობა. აღტაცებაში მოჰყავს არაერთი ეროვნების ხალხი : გელათსა და სვეტიცხოველს, ალავერდსა და სიონს, ბაგრატსა და ნიკორწმინდას, დავით გარეჯსა და უფლისციხეს, რად ღირს დედოფლისწყაროში მდებარე უძველესი თამარის ციხენაქალაქარი.

ქართველი კაცი თავის განწყობილებას ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში აქსოვდა. თვითონაც მღეროდა და ქვასაც ამღერებდა სვეტებად, გუმბათებად და ჩუქურთმებად. ათასი ჯურის შინაური და გარეული მტრისთვის გაუძვლიათ - დაცემულან და კვლა აღმდგარან უფრო ძლიერნი და ლამაზნი.

სახელმწიფო დიდ მზრუნველობას იჩენს წარსულის, კულტურული მემკვიდრეობისადმი. მეტნაკლებად იცავს საუკუნეების ქარცეცხლში გამოტარებულ საგანძურს.

დედოფლისწყაროშიც მრავლადაა და მუნიციპალიტეტი თითქმის გამოირჩევა არქიტექტურულ ნაგებობათა სიმრავლით. ნაკრძალებით – ვაშლოვანის და ჭაჭუნას დაცული ტერიტორიებით.

ჩვენს წინაშე ჩვენივე წარსული დგას. მრავალჯერ გაძარცვული, მაგრამ რწმენაშეუბღალავი. დგას ობელისკებადქცეულ ვაჟკაცთა სახელობის ტყეპარკებიც. ჩვენს წინ დგანან ძეგლები და ციხე-ტაძრები, რომლებიც გვამხნევებენ. ღმერთმა ისმინოს მათი საგალობლები.

სოფელ მირზაანში ოთხი ტაძარია: კვირაცხოველი, ალავერდი, კავთი და ყოვლადწმინდა. კვირაცხოველი დგას შინმოუსვლელთა ტყე-პარკის შუაგულში. ხოლო ყოვლადწმინდა და კავთი ყოფილი ნაკრძალის „ციაანის“ ცენტრში. ეს ნაკრძალი ქვემო მირზაანს მოიცავდა. ქვემო მირზაანის დასახლება რომ აიყარა და სოფელ გამარჯვებაში გადასახლდა, ეს ასე თუ ისე დაცული ტერიტორია თავისი ფლორითა და ფაუნით სულ განადგურდა. თითქმის ყოველდღიურად ისმის მონადირეთა ძაღლებისა, თუ თოფების ხმა.

„წითელი წიგნი“ ხომ ადამიანების სინდისის თავისებური დოკუმენტია. ჩვენ კი, როგორც ჩანს, აღარც სინდისი და აღარც წითელ წიგნში შესატანი დაგვრჩა რამე.

აი, სათქმელი რა ნაქვს, ძვირფასო რედაქცია: - მინდა „შირაქის“ ფურცლებიდან ვთხოვო რაიონის ხელმძღვანელობას და სათანადო ორგანოებს, რომ მეტი ყურადღება მიექცეს სოფელ მირზაანის ამ ნაწილს, რომელიც დაცული ტერიტორიები იყო. კარგი იქნება აღდგეს ნაკრძალი „ციაანი“ თავის საზღვრებში, გამოიყოს მცველები, რომლებიც დაიცავენ ან ბუნების სილამაზეს და არ იქნება ბრაკონიერთა სათარეშო.

სოფელ მირზაანს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. ცხადია, ვგულისხმობ დიდი ნიკალას სახელმწიფო მუზეუმს, კოტეჯებს დამსვენებელთათვის. კარგი იქნება, თუ ამ პოტენციალს უკეთესად გამოვიყენებთ სოფლის განვითარებისა და კეთილდღეობისთვის. ჩვენი, თითოეული მოქალაქის მოვალეობაა, მომავალ თაობებს გადავცეთ არა გამოფიტული და განადგურებული, არამედ გამდიდრებული, აღორძინებული მთელი თავისი ცხოველთა და ფრინველთა მრავალფეროვნებით. მინდა აღარ გაიჩეხოს ტყეები, რომლებიც აქამდე უმოწყალოდ იჩეხებოდა და შევინარჩუნოთ წყაროები.

დალი ფიროსმანაშვილი
სოფელი მირზაანი

მონატრება

ლევან დავითაშვილი

შვიდი წელი უშენოდ. ისევ მოვიდა 27 სექტემბერი ტკივილითა და ცრემლით. 2016 წლის 27 სექტემბერს ჩქარა შენი ლამაზი სიცოცხლე ჯვართამაღლების დღეს. შენი სიცოცხლე ხანმოკლე კი არა მხოლოდ ერთი გაელვება იყო.

ლევან ძალიან, ძალიან გვენატრები შვილო, შენთვის ხომ ცხოვრება ერთი ლამაზი წამი აღმოჩნდა. წამი, რომელმაც ერთმანეთს დაგვაშორა და გულში სამუდამო ტკივილი დაგვიტოვა. როდესაც ცხოვრებით უნდა დამტკბარიყავი, ოჯახი შეგექმნა, მშობლების გული გაგეხარებინა, მაშინ ჩაქრა შენი სიცოცხლის ლამპარი.

შენი წასვლის მერე დაიბადა შენი ძმისშვილი გაბრიელი. ის უფლის საჩუქარია ჩვენს სანუგეშოდ მოვლენილი. მისმა დაბადებამ დაგვარწმუნა, რომ უფალი მოწყალეა, სიცოცხლე გრძელდება და ჩვენს ამქვეყნდ ყოფნას აზრი აქვს. მადლობა უფალს ამ საჩუქრისთვის.

ლევან, შვილო, შენმა ლევანი პაპამ 100 წლამდე იცოცხლა. შენ ნაადრევად, 34 წლის ასაკში ჩაგიტყდა ცხოვრების გზაზე გამავალი ხიდი, ლევან შვილო, ძალიან ენატრები შენს ძმებს, შენს ლევანიკოს. შენი ლევანიკო უკვე დიდი ბიჭია შვილო, დალოცე შენი ძმები, შენი ძმისშვილები რომლებმაც მწარედ დაგიტირეს და გაგაცილეს უკანასკნელ გზაზე.

ჩემო ვაჟკაცო, რამდენი წელიც უნდა გავიდეს შენი მშობლების, ძმების გულს ვერანაირი დრო ვერ განკურნავს ოჯახის დიდო ტკივილო.

27 სექტემბერს მოვალთ შენს სამუდამო სასუფეველთან, აგინთებთ სანთლებს, მოგიტანთ ყვავილებს და ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის. ლევან ტკივილამდე გვენატრები შვილო, ამ დიდ მონატრებას და ზღვა ცრემლს ვატანთ ამ ბარათს შენთან. იძინე მშვიდად სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა ზეციურ ბინადარს.

შენი ოჯახი.

სოფელ ხორნაბუჯის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ხელმძღვანელი ქეთევან მჭედლიშვილი და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ჭიჭინაძეს ბიძაშვილის, ერთ-ერთი გამორჩეული ღვაწლმოსილი არქიტექტორის, განსწავლული პიროვნების, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრს **ნოდარ ჭიჭინაძის** გარდაცვალების გამო, მისი პროექტებით იყო რესტავრირებული წითელწყაროს და თბილისის ძველი კინოთეატრი „აპოლო“, მან აღადგინა მეფეთა საფლავები სვეტიცხოველში და სხვა ხუროთმოძღვრული ძეგლები. დაიკრძალა 31 აგვისტოს, თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

ანაკლიის საზაფხულო ბანაკი

ზაფხულის ცხელ დღეებში დედოფლისწყაროელი ახალგაზრდების ნაწილმა სახელმწიფო დაფინანსებით ანაკლიის საზაფხულო ბანაკში დაისვენა. პანდემიის შემდეგ უკვე მეორე წელია ეს პროგრამა აღდგა და მოზარდებს შესაძლებლობა ეძლევათ არდადეგებზე შავიზღვისპირეთში საინტერესო აქტივობებში ჩაერთვნენ. გასულ წელს 4 დედოფლისწყაროელი მოზარდი მონაწილეობდა, წელს კი ორ ნაკადად სულ 13-მა მოსწავლემ დაისვენა.

პირველი ნაკადის შესახებ გასულ თვეებში უკვე გიამბობდით. ამჯერად „შირაქი“ ბანაკის მეორე ნაკადის მონაწილე ახალგაზრდებს გაესაუბრა და მათი შთაბეჭდილებები მოისმინა.

მარიამ ჭუჭულაშვილი: „ვარ 16 წლის, ვსწავლობ სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლაში. ჩემი პირველი შთაბეჭდილებები ბანაკის შესახებ იყო ძალიან ემოციური წასვლის დროს აღელვებული ვიყავი მეშინოდა იმის თუ როგორ შევეგუებოდი უცხო გარემოს და უცხო ბავშვებს ერთი კვირის მანძილზე, თუმცა მას შემდეგ, რაც ჩავედი ანაკლიის ბანაკში, პირველივე დღიდან დამხვდა ძალიან თბილი გარემო თბილი ლიდერებით და ბავშვებით. ბედნიერი ვარ, რომ შეგვხვდნენ ისეთი ლიდერები რომლებმაც გვაგრძნობინეს 240 ბავშვს რომ ის ბანაკი იყო ჩვენი მეორე სახლი და ჩვენ ყველანი ვიყავით ერთი ოჯახი. გვიტარდებოდა ბევრი აქტივობები, ყოველ დღე სხვადასხვა ტრენინგები, ძალიან კმაყოფილი ვარ პირადად მე ამ ტრენინგებით ბევრი საინტერესო ინფორმაცია მოვისმინე, რაც მართლა მჭირდებოდა განსაკუთრებით მომეწონა „თავდაცვის დღე“ და „აირჩიე პროფესია.“ ტარდებოდა სხვადასხვა სახალისო თამაშები გუნდები ვეჯიბრებოდით ერთმანეთს ჩავატარეთ ორი სახის ფესტივალი სადაც გვქონდა გუნდური ჩართულობა ყოველ საღამო გვქონდა რეფლექსიები რომელზეც განვიხილავდით მთლიანი დღის შთაბეჭდილებებს ის ბედნიერი წუთები რაც იმ ადამიანებთან გავატარე ყოველთვის დარჩება ჩემს გონებაში და მინდა ყველა იმ ადამიანს მადლობა მოვუხადო რომელმაც წვლილი შეიტანა და ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს განავითარონ საკუთარი თავი და გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. კომუნიკაციისთვის და ახალი აქტივობების შესაცნობად მინდოდა იქ მოხვედრა. მოლოდინს გადააჭარბა და დავბრუნდი ზღვა ემოციებით.

თომა ლომსაძე: „რა თქმა უნდა წასვლისას ვიცოდი, რომ ბევრ ახალ თანატოლს გავიცნობდი, გავიჩენდი უამრავ ახალ მეგობარს. ჩასვლიდან მეორე დღეს ცოტა უცნაურად მომეჩვენა და გამიჭირდა ბანაკთან შეჩვევა, მაგრამ ჩემი გუნდის წევრების და დანარჩენი მეგობრების დახმარებით ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკი ძალინ შემიყვარდა. შემდეგ უკვე ძალიან რთული იყო იქიდან წამოსვლა და უკან დაბრუნებისას ემოციების დამალვა ძალიან გამიჭირდა. ჩემი აზრით, ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკი არის ჯადოსნური კუნძული, რომელიც ყველას აყვარებს თავს. რა მოლოდინიც მქონდა გაამართლა. მაგრამ მოლოდინებთან შედარებით უფრო დიდი სიამოვნება და სიხარული მივიღე. ჩემი ბანაკში წასვლის მიზეზი რა თქმა უნდა იმის გაგება იყო, თუ გამოწვევები ექნებოდა ბანაკს და ასევე მეგობრების შეძენა სხვადასხვა რეგიონებიდან. ასევე ვიცოდი, რომ ტარდებოდა ტრენინგები, რომელიც მაინტერესებდა. ბანაკში ყოფნამ შემმატა თავდაჯერებულობა, აქტივობებში აქტიურად მონაწილეობის სურვილი, გუნდურობა. ასევე მასწავლა კომუნიკაციაში მეტად ჩართვა და სიყვარულის დიდი გრძნობა, როგორც მონაწილეებთან, ასევე ლიდერებთან და ჯგუფთან“.

ნიკა ჭუჭულაშვილი: „სიმართლე გითხრათ, წასვლამდე ვინერვიულე, რადგან პირველად მივდიოდი ბანაკში და ვფიქრობდი, როგორი გარემო დამხვდებოდა, ან ბავშვებთან როგორ გამოვნახავდი საერთო ენას. ეს ყველაფერი თავში ერთდროულად მიტრიალებდა, მაგრამ მაინც ვცდილობდი პოზიტიური განწყობით წავსულიყავი. გუშინდელი დღესავით მახსოვს ბანაკში ჩასვლის პირველი დღე, ლიდერები პოზიტიურად დაგვხვდნენ, გვამხნევებდნენ და გვაცნობდნენ წესებს. ყველა ბავშვი გულისყურით უსმენდა ლიდერებს. როდესაც გაცნობის დრო დადგა, ერთმანეთს ვუამბეთ ჩვენს შესახებ. მომდევნო დღეებში როდესაც დაიწყო აქტივობები, ტრენინგები, რეფლექსიები და ა.შ იმდენად ჩართულები ვიყავით ამ ყველაფერში, რომ მალევე დავმეგობრდით და ადვილად გამოვნახეთ საერთო ენა. ბანაკში ყველაფერზე მეტად ის მომეწონა, რომ იქ არის საშუალება იმისა, რომ ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოავლინონ ის ყველა შესაძლებლობა და ნიჭი, რაც მათ გააჩნიათ, ან დაძლიონ ყველანაირი კომპლექსი და ისწავლონ ურთიერთპატივისცემა. რა თქმა უნდა ახალი მეგობრები ბევრი ინფორმაცია და დასახულ მიზანზე ორიენტაცია რაც საშუალებას გვაძლევს შევქმნათ უკეთესი მომავალი არამარტო ჩვენთვის, არამედ ჩვენი გარშემო მყოფთათვისაც და დამაფიქრა იმაზე, რომ ახლო მომავალში კიდევ წავიდე ანაკლიის ბანაკში არათუ მონაწილედ, არამედ ამჯერად უკვე ლიდერად. რაც შეეხება ჩვენი ასაკის ბავშვებს, ჩემი აზრით, ბანაკში მონაწილეობა მოზარდებს მატებს თავდაჯერებულობას და უმყარებს იმ აზრს, რომ შეუძლებელი არაფერია და ყველაფრის ცდა ღირს, თუნდაც რამე არ გამოვიდეს“.

ლიკა აკოფოვი: „გამართლდა მოლოდინი, ჩემთვის პირველი ბანაკი იყო და ძალიან მომეწონა. ძალიან მინდოდა ანაკლიაში წასვლა, რადგან ვიცოდი, უფრო ბევრ რამეს გავეცნობოდი, გავიცნობდი უფრო მეტ ადამიანს, შევიძენდი ახალ მეგობრებს და საკუთარი თავის შესაძლებლობებში უფრო დავრწმუნდებოდი. დილით მუსიკებით გვაღვიძებდნენ ძალიან მაგარი დიჯეი გვყავდა და ასევე ლიდერებიც, რომლებიც ყველანირად ხელს გვიწყობდნენ, რომ ბავშვებს უკეთესად გაგვეცნო ერთმანეთი. ვიღვიძებდოთ რვა საათზე, ეზოში გავდიოდით, ვეცნობოდით დღის გეგმებს, შემდეგ ვისაუბრებდით გუნდთან ერთად, შევთანხმდებოდით და 10-ის 15 წთ-ზე იწყებოდა კვება, შემდეგ იყო ზღვის დრო, ტრენინგი. მინდა ვთქვა, რომ ტრენინგები იყო ძალიან საინტერესო, შემდეგ კიდევ იწყებოდა აქტივობები და როგორც ყოველთვის ისევ კვება. გამიჩნდა უამრავი ახალი იდეა, უამრავი ძალიან კარგი მეგობარი და ბანაკის თითოეულმა მონაწილემ უკეთ გავიგეთ ჩვენი შესაძლებლობები. დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს რაც შეეხება, ყველაფერი კარგად დამამახსოვრდა და ეს არის იქ მომუშავე პერსონალის დამსახურება. ასევე, დიდი წვლილი შეიტანეს ლიდერებმა, გუნდის წევრებმა, დიჯეიმ, ექთნებმა და მზარეულებმაც, რისთვისაც ძალიან დიდ მადლობას ვუხდი. მოგონებებს რაც შეეხება, ეს იყო ერთი კვირა, მაგრამ ბევრს უდრიდა. გვაქვს უამრავი მოგონება თითოეულ ადამიანთან, მართლაც საუკეთესო მოგონებებია“.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ ნანა ჭიჭინაძეს!



ჩვენი საყვარელო ნანა, ჩვენი ჭირისა და ლხინის გამზიარებელო, გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ასევე ენერგიულად ემსახურო შენს საყვარელ საქმეს ჟურნალისტიკის სფეროში. არ ჩამოვთვლით შენს მრავალ ჯილდოს, მაგრამ მთავარი ჯილდო მაინც ხალხის სიყვარულია. იყავი ჯანმრთელი და ბედნიერი შენი საყვარელი შვილის, მარიკა პოპიაშვილის ოჯახთან ერთად. გვინდა მილოცავ დავასრულოთ შენი საყვარელი პოეტის, თემურ ჩალაბაშვილის ლექსით:

„ვცხოვრობ უფლის განაჩენით,
მწამს ღმერთი და სულიწმინდა,
სხვა–ჯანდაბას ყველაფერი,
ქვეყნის გადარჩენა მინდა“.

პატივისცემით: **სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები ოჯახებით:** ივერი ჭუჭულაშვილი, ვლადიმერ კვანჭილაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი, ზურაბ თეთვაძე, ავთო ჯანაშვილი, მერაბ ფიროსმანაშვილი, ნანა აფციაური, მაყვალა ჯორკოშვილი, მაყვალა მამულაშვილი, თამარ პაპაჩაშვილი.

სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს. თქვენ უდაოდ დიდ საქმეს აკეთებთ და კულტურის მუშაკების მოამაგე ბრძანდებით. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და იმ ახალგაზრდულ ენერგიას, რომელიც უშრეტად გაქვთ!

მეგობრების სახელით,
ლია მაისურაძე და თამილა ნადირაშვილი

„დამაქვს ფსალმუნთა კრიალოსანი,
შენზე ვლოცულობ ცრემლის წვიმებით,
მე ვარ ის ცრემლი და ის „მგოსანი“,
შენ რომ არასდროს დააკაწყდები“!

დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეს, დამსახურებულ ჟურნალისტს, ოპერის მეგობარს, საქართველოს კულტურის ამაგდარის წოდების და მრავალ ტიტულების და ჯილდოების მფლობელს, პოეზიის უდიდეს თაყვანისმცემელს, უღრმესი პატივისცემით და სიყვარულით გილოცავ დაბადების დღეს, 25 სექტემბერს, საიუბილეო თარიღს!..

ბედნიერი ადამიანი ხარ იმით, რომ მე-XX საუკუნის გამორჩეული კორიფეები: თენგიზ აბულაძე, რევაზ ლაღიძე, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები, გოგლა ლეონიძე, მურმან ლებანიძე, ნოდარ დუმბაძე, იოსებ ნონეშვილი და სხვები თქვენი ნათესავის, მწერალის და კრიტიკოსის გიორგი ნატროშვილის მოწვევით იმყოფებოდნენ თქვენს სახლში, სადაც პოეზიის საღონური შეხვედრები იმართებოდა. გულს ნუ გაიტეხ, ასეთი საღამოები კვლავ გაიმართება...

საუკეთესო სურვილებით: ჯუბა ღეგელი

ზეინალ მოდებაძეს!

ჩვენი ასოციაციის ოქროს სპონსორს, საქართველოს მასშტაბით გამოვლენილ ერთ-ერთ საუკეთესო თამადას, საუკეთესო მომღერალს, პირველ საუკეთესო კერძო მეწარმეს. ბატონო ზეინალ, გილოცავთ დაბადების დღეს, 12 სექტემბერს, თქვენს წარმატებულ ოჯახის წევრებთან ერთად გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მშვიდობას ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ.

პატივისცემით **დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია.**

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 25.09	სამშაბათი 26.09	ოთხშაბათი 27.09	ხუთშაბათი 28.09	პარასკევი 29.09	შაბათი 30.09	კვირა 01.10
დღე	19°	21°	22°	22°	22°	20°	20°
ღამე	11°	9°	10°	11°	11°	11°	12°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი